დასაქმებულის კმაყოფილების კვლევა

კვლევის მიზანია განსაზღვროს უნივერსიტეტის ადმინსტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან საქართველოს საპატრიარქოს თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ უკუკავშირის მიღება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: მართვის სტილი, ანაზღაურება, დამატებითი ბენეფიტები, პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა, ინფრასტრუქტურა, პროცედურები. უნივერსიტეტის განვითარებისთვის მნიშნელოვანია წაახალისოს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებსაც წვლილი შეაქვთ საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებაში. უნივერსიტეტის განვითარებისთვის მნიშნველოვანია სხვადასხვა ასპექტში შეაფასოს ორგანიზაციის მართვის პროცესები, მოახდინოს განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირება.

კვლევა ჩატარდა 2023 წლის დასაწყისში.

მეთოდოლოგია: ანკეტირებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საპატრიარქოს თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულმა/აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა. გამოკითხვა განხორციელდა რანდომულად, ანონიმურობის სრული დაცვით. გამოკითხვის შედეგები დამუშავდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით და გამოითვალა პროცენტებში. კითხვარი შედგება 23 კითხვისგან. მაქსიმალური შეფასება 5 ქულა, მინიმალური შეფასება - 1 ქულა.

შედეგები:

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა



შედეგი: გამოკითხულთა შორის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა მინიმალურ ქულად შეაფასა 28%-მა, მაქსიმალური შეფასება მისცა 18%-მა.

რეკომენდაცია: უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ განახორციელოს დამატებითი ღონისძიებები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსახორციელებლად (კომპიუტერების, ტელევიზორების, პროექტორების შესაძენად)



შედეგი: გამოკითხულთა 64%-მა პირველადი სამედიცინო დახმარება შეაფასა მინიმალურ ქულად, ხოლო 9%-მა-მაქსიმალურ ქულად.

რეკომენდაცია: განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებები პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახის აღჭურვისა და მედიკამენტებით უზრუნველსაყოფად.



შედეგი: საუნივერსიტეტო გარემოს ჰიგიენური პირობები მინიმალურ ქულად შეაფასა გამოკითხულთა 0%, ხოლო მაქსიმალურზე გამოკითხულთა 9%-მა. საშუალოდ მიიჩნევს გამოკითხულთა 73%.

რეკომენდაცია: მატერიალური რესურსების სამსახურს ეთხოვოს განახორციელოს დამატებითი ღონისძიებები (სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შეძენა, მისადმი დაქვემდებარებული დამხმარე პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის გაუმჯობესება, ეზოს ბაღის მოვლა-დასუფთავება და სხვ.) საუნივერსიტეტო გარემოს ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად.



შედეგი: გამოკითხულთა 70%-მა შრომის ანაზღაურების პირობები და ხელფასების ზრდა შეაფასა მინიმალური ქულით, მხოლოდ 10%-მა შეაფასა მაქსიმალური ქულით.

რეკომენდაცია: ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და საფინანსო სამსახურს ეთხოვოს დაგეგმოს და განახორციელოს დამატებითი ფინანსების მოზიდვის ღონისძიებები შრომის ანაზღაურების პირობების გასაუმჯობესებლად.



შედეგი: გამოკითხულთა 60%-მა პრემიების გაცემა დამსახურების მიხედვით შეაფასა მინიმალური ქულით, 10%-მა - მაქსიმალური ქულით.

რეკომენდაცია: ეთხოვოს ხარისხის უზრუნველყოფისა და საქმისწარმოებისა და საინფორმაციო უზრუნელყოფის სამსახურს, უზრუნველყონ წახალისების მექანიზმების პრაქტიკული განხორციელება, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან განხორციელდეს უკუკავშირი ამ მექანიზმების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.



შედეგი: გამოკითხულთა 40%-მა მინიმალურ ქულაზე შეაფასა შეღავათები და სოციალური გარანტები, ხოლო 10% - მაქსიმალურ ქულაზე.

რეკომენდაცია: ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საქმისწარმოებისა და საინფორმაციო უზრუნელყოფის სამსახურს, საფინანსო სამსახურს გასწიონ დამატებითი მუშაობა ადმინისტრაციულ/აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან უნივერსიტეტში არსებული თუ შრომითი კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების, სოციალური დახმარებებისა და გარანტიების შესახებ.



შედეგი: გადაწყვეტილების საჯაროობა გამოკითხულთა 0%-მა შეაფასა მინიმალურ ქულად, ხოლო 20%-მა - მაქსიმალურ ქულად. გამოკითხულთა 60%-ი გადაწყვეტილებების მიღების პროცესით კმაყოფილია.

რეკომენდაცია: გადაწყვეტილების მიღების საჯაროობის უზრუნველსაყოფად იურიდიულ სამსახურსა და საქმისწარმოებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახურს ეთხოვოს დაგეგმოს და განახორციელოს დამატებითი ღონისძიებები.



შედეგი: გამოკითხულთა 10%-მა მინიმალური ქულით შეაფასა სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების გამიჯვნა, ხოლო მაქსიმალური შეფასება მისცა 0%-მა.

რეკომენდაცია: იურიდიულმა სამსახურმა და საქმისწარმოებისა და ინფორმციული უზრუნველყოფის სამსახურმა მოამზადონ სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების პროექტი და შეიმუშავონ უფრო დაზუსტებული სამუშაო აღწერილობები.



შედეგი: ჩართულობა მმართველობით გადაწყვეტილებებში მინიმალური ქულით შეაფასა 10%-მა, ხოლო მაქსიმალური ქულით - ასევე 10%-მა.

რეკომენდაცია: რექტორმა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, იურიდიულმა სამსახურმა და საქმისწარმოებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში აკადემიური პერსონალის ჩართულობის გაუმჯობესება ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფის, აუცილებლობის შემთხვევაში, ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელების გზით.



შედეგი: გამოკითხულთა შორის პროფესიული განვითარების შესაძლებლობა მინიმალური ქულით შეაფასა 0%-მა, ხოლო მაქსიმალური ქულით 10%-მა.

რეკომენდაცია: ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახურს, დეკანს, სამეცნიერო ბიბლიოთეკას, საქმისწარმოებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახურს ეთხოვოს დამატებითი გამოკითხვით დაზუსტდეს აკადემიური პერსონალი პროფესიული განვითარების რა საჭიროებებს ხედავს და გადაიდგას ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები.



შედეგი: წახალისებისა და მატერიალური წინსვლის შესაძლებლობა მინიმალურ ქულაზე შეაფასა 0%-მა, მაქსიმალურ ქულაზე - 10%-მა.

რეკომენდაცია: ხარისხის მართვის სამსახურს, საქმისწარმოებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახურს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს ეთხოვოთ ჩატარდეს დამატებითი ინფორმირება აკადემიური პერსონალის წახალისების მექანიზმების, სოციალური ღონისძიებების შესახებ; ჩატარდეს დროული შეფასება აკადემიური პერსონალის საქმიანობის, რომ მოხდეს იმ აკადემიური პერსონალის წახალისება, რომელთა სამეცნიერო, სამოქალაქო თუ პედაგოგიურმა აქტივობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი წმ. თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის პოპულარიზაცია/განვითარებას.



შედეგი: ადმინსიტრაციის მმართველობითი საქმიანობა და პრინციპები გამოკითხულთა შორის მინიმალურ ქულაზე შეაფასა 0%-მა, ხოლო მაქსიმალურ ქულაზე 20%-მა.

რეკომენდაცია: ადმინისტრაციის კურატორს, სამსახურების კოორდინატორებს, დეკანს ეთხოვოთ შეიმუშავონ და დაგეგმონ ადმინისტრაციის მმართველობითი საქმიანობისა და მისი გამჭვირვალობის გაუმჯობესების შესაძლებლობები.



შედეგი: უსაფრთხო სამუშაო გარემო მინიმალურ ქულაზე შეაფასა გამოკითხულთა 0%-მა, ხოლო მაქსიმალური შეფასება მისცა გამოკითხულთა 44%-მა.

რეკომენდაცია: ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, უსაფრთხოების/დაცვის სამსახურის კოორდინატორს ეთხოვოს განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებები სამუშაო გარემოს უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით.



შედეგი: კითხვა უნივერსიტეტი პასუხობს საზოგადოებრივ მოთხოვნებს მინიმალურ ქულაზე შეაფასა 0%-მა, ხოლო მაქსიმალური შეფასება მისცა 30%-მა.

რეკომენდაცია: ადმინისტრაციის ხელმზრვანელს, ხარისხის მართვის სამსახურს ეთხოვოს სტრატეგიული განვითარების შეფასების მექანიზმებისა და ხარისხის მართვის გაუმჯობესების მექანიზმების, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებები უნივერსიტეტის მოთხოვნადობის გასაზრდელად.



შედეგი: „უნივერსიტეტის ცნობადობა“ გამოკითხულთა 10%-მა შეაფასა მინიმალურ ქულაზე, ხოლო 10 %-მა - მაქსიმალურ ქულაზე.

რეკომენდაცია: ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახურს ეთხოვოს განხორციელდეს პიარ-კამპანიები და სხვა სახის ღონისძიებები უნივერსიტეტის ცნობადობის გასაზრდელად.



შედეგი: კითხვა „მონაწილეობა საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებებისდ მიღებაში“ მინიმალურ ქულაზე შეაფასა 20%-მა, მაქსიმალურ ქულაზე 20%-მა.



შედეგი: კითხვა „კვლევების დაფინანსება“ მინიმალურ ქულაზე შეაფასა 70%-მა, მაქსიმალურ ქულაზე 0%-მა.

რეკომენდაცია: ადმინისტრაციის კოორდინატორს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო სამსახურს ეთხოვოს სამეცნიერო კვლევებისთვის გამოყოფილი თანხების სწორად განაწილებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა



შედეგი: კითხვაზე „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ მინიმალური ქულაზე შაფასა 0%-მა, ხოლო მაქსიმალურ ქულაზე - 20%-მა.

რეკომენდაცია: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ეთხოვოს ზედმიწევნით შესრულდეს იურიდიულ ნორმატიულ აქტებში გაწერილი და საქართველოს ხარისხის მართვის ცენტრის რეკომენდაციები



შედეგი: კითხვა „კოლეგიალობა და ურთიერთთანამშრომლობა“ მინიმალურ ქილაზე შეაფასა 0%-მა, ხოლო მაქსიმალურ ქულაზე 67%-მა.

რეკომენდაცია: ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საქმისწარმოებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახურს ეთხოვოს ჩატარდეს ღონისძიებები გუნდური მუშაობის გასაძლიერებლად.

შედეგი: კითხვა „ინიციატივების მხარდაჭერა“ მინიმალურ ქულაზე შეაფასა 0%-მა, მაქსიმალურ ქულაზე ასევე 0%-მა.

რეკომენდაცია: ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის მართვის სამსახურს, დეკანს ეთხოვოს შეისწავლონ შემოთავაზებული ინიციატივებიდან რომელს არ დაეჭირა მხარი და რა იყო გადაყვეტილების საფუძველი.

შედეგი: კითხვა „სიახლეები ადმინისტრირებაში“ მინიმალური ქულით შეაფასა 0%-მა, მაქსიმალური ქულით- 0%-მა.

რეკომენდაცია: ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის მართვის სამსახურს, საქმისწარმოებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახურს, დეკანს ეთხოვოთ უფრო მეტი მუშაობა გასწიონ ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფის კუთხით, რომ აკადემიური პერსონალისთვის ხელმისწვდომი იყოს ინფორმაცია ადმინისტრირების პროცესში მიმდინარე პროცესების შესახებ.



შედეგი: „საუნივერსიტეტო პრობლემებზე რეაგირება“ მინიმალურ ქულაზე შეაფასა 0%-მა, მაქსიმალურ ქულაზე 0%-მა.

რეკომენდაცია: ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ეთხოვოს დამატებით შეისწავლონ პრობლემა, რათა გაირკვეს რომელ მენეჯერულ რგოლში ხდება შეფერხება პრობლემის აღმოსაფხვრელად.



შედეგი: „ერგონომიკული გარემო მინიმალურ ქულაზე შეაფასა გამოკითხულთა 0%-მა, მაქსიმალური ქულაზე - 0%-მა.

რეკომენდაცია: ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის მართვის სამსახურს, ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურს ეთხოვოს განახორციელოს დამატებითი ღონისძიებები ერგონომიკული გარემოს გასაუმჯობესებლად.